საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

26 თებერვალი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №68/17

ბრალდებულ -- 2017 წლის 24 აპრილის №-- საჩივრის საფუძველზე, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 2 თებერვლის №68/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ -- სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლემ -- 2017 წლის 22 მარტს მისი ბრალდების საქმეზე განიხილა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე დაცვის მხარის შუამდგომლობა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მის მიერ დაყენებული იყო მოსამართლის აცილების შუამდგომლობა, რომლის სამართლებრივ საფუძვლადაც უთითებდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილს და აღნიშნავდა, რომ უშუალოდ მოსამართლე -- მიიღო პირველად გადაწყვეტილება მისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე, რაც ქმნიდა მისი აცილების წინაპირობას.

საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ მოსამართლე -- არ ჰქონდა უფლება განეხილა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლის შუამდგომლობა, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დაუშვებელია მოსამართლეს ემსჯელა საკუთარი გადაწყვეტილების ძალაში დატოვებაზე ან შეცვლაზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-- სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლემ -- 2017 წლის 8 თებერვალს განიხილა საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს პროკურორ - -- შუამდგომლობა -- მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე. აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ბრალდებულ -- მიმართ გამოყენებულ იქნა აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა.

-- სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლემ -- 2017 წლის 21 მარტს ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს პროკურორ - -- შუამდგომლობა წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელების თაობაზე. აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ბრალდებულ -- მიმართ სისხლის სამართლის №-- საქმეზე გაგრძელდა წინასასამართლო სხდომის ვადა.

2017 წლის 22 მარტს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ბრალდებულ -- მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის დადგენის მიზნით, სასამართლომ მოიწვია მხარეები, რა დროსაც ბრალდების მხარემ იშუამდგომლა ბრალდებულ -- მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ -- სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2017 წლის 08 თებერვლის განჩინების ძალაში დატოვება. ბრალდებული -- არ დაეთანხმა პროკურორის შუამდგომლობას და მოითხოვა მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულიყო - 20 000 ლარის ოდენობით, ვინაიდან, არ არსებობდა შესაბამისი მტკიცებულება, რაც მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის ძალაში დატოვების საფუძველი შეიძლება გამხდარიყო.

2017 წლის 22 მარტის განჩინებით მოსამართლე -- ძალაში დატოვა განჩინება ბრალდებულ - -- მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შეფასდეს კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

საქართველოს სისხლის სამართლოს საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო შეტანილი საჩივრის განხილვაში, რაც შესაბამისად წარმოადგენს მოსამართლის აცილების საფუძველს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვაში, თუ იგი ამ საქმეში მონაწილეობდა, როგორც გამომძიებელი, პროკურორი, წინასასამართლო სხდომის, პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს მოსამართლე ან სასამართლო სხდომის მდივანი. ეს წესი ვრცელდება იმ მოსამართლეზე, რომელიც მონაწილეობდა სისხლის სამართლის საქმის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განხილვაში.

ამასთან, ამავე კოდექსის 208-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაა გამოყენებული, ამ მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად წინასასამართლო სხდომის გამართვის ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მისი დაკმაყოფილებიდან არაუგვიანეს 72 საათისა სასამართლო იწვევს მხარეებს, რათა დაადგინოს, აუცილებელია თუ არა აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვება. ამ საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ხელმძღვანელობს ამ კოდექსის 206-ე მუხლით დადგენილი წესითა და სტანდარტით.

განსახილველ შემთხვევაში, მოსამართლე -- მიერ 2017 წლის 22 მარტის სასამართლო სხდომაზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, შეფასდა ბრალდებულ -- მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, ვინაიდან, -- სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2017 წლის 21 მარტის განჩინებით, ბრალდებულ -- მიმართ სისხლის სამართლის №-- საქმეზე გაგრძელდა წინასასამართლო სხდომის ვადა.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ 2017 წლის 22 მარტის სხდომაზე

მოსამართლე --- ბრალდებულ -- მიმართებაში განიხილა შუამდგომლობები და არა საჩივარი, რაც თავის მხრივ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მიერ განხილვას უნდა დაქვემდებარებოდა.

განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებული აცილების წესის გამოყენების რაიმე სახის წინაპირობა, შესაბამისად, ვერ დასტურდება რაიმე სახით ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტი.

ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად არ გამოიკვეთა 2017 წლის 26 აპრილის №-- საჩივარში მითითებული „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ (თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენება) და „დ“ (მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას) ქვეპუნქტებით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნები. ამ ვარაუდის დამადასტურებელი მტკიცებულებები არც მომჩივანის მიერ ყოფილა წარმოდგენილი.ff

4. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საქართველოს

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 26 თებერვლის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მესამე პუნქტითა და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №68/17 მოსამართლე -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი